**თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**
**2024 წლის 16 აგვისტო**
**რიგგარეშე სხდომის**
**ოქმი № 13**

ქ. თერჯოლა 16 აგვისტო 2024 წელი

სხდომა გაიმართა მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობის სხდომათა დარბაზში, მის. ქ. თერჯოლა, ან. ჭანტურიძის ქ. № 7-ში.

**სხდომას უძღვებოდა:** საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ბარათაშვილი

**სხდომას ესწრებოდნენ:** 1. გიორგი ბარათაშვილი, 2. ეკა ბერძენიშვილი, 3. მანუჩარ ფანჩულიძე, 4. თემური ქოჩიაშვილი, 5. ლაშა გურგენიძე, 6. იზა მაგრაქველიძე, 7. ბიძინა ბუცხრიკიძე, 8. კობა კაცაძე, 9. ნინო მახათაზე, 10. ომარი ჯიხვაშვილი, 11. ბადრი ბუცხრიკიძე, 12. ჯემალი ისაკაძე, 13. ელისო მურადაშვილი, 14. შალვა ჭანკვეტაძე, 15. გრიგოლ გიორგაძე, 16. გოჩა ვერულაშვილი, 17. დავით გოგბერაშვილი, 18. კახა ბუცხრიკიძე, 19. რამინი რობაქიძე, 20. თამარ ახვლედიანი, 21 ფრიდონ გვენეტაძე, 22. დავით ცხადაძე, 23. ნატალია ასათიანი, 24. მერაბი ბასილაძე, 25. რუსუდან კოვზირიძე, 26. როლანდი მესხი.

**სხდომას არ ესწრებოდნენ:** 1. კობა კირკიტაძე, 2. ტარიელ ფანჩულიძე, 3. ნინო ჩხიკვაძე, 4. ივანე ჩუბინიძე.

**საკრებულოს სრული შემადგენლობა: 30 წევრი**
**საკრებულოს სიითი შემადგენლობა: 30 წევრი**
**დამსწრე საკრებულოს წევრთა რაოდენობა: 26 წევრი**
**კვორუმი: 16 წევრი**

**სხდომას ესწრებოდნენ:** მუნიციპალიტეტის მერი მანუჩარ რობაქიძე, მერის პირველი მოადგილე ზვიად ბაზაძე.

**სხდომა დაიწყო 12 ⁰⁰ სთ-ზე.**
**სხდომა დამთავრდა - 12 ⁴⁰სთ-ზე.**

*საკრებულოს სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად.*

## დღის წესრიგი:

1. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 13 დეკემბრის N 30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის N 28-282422750 წერილი, 14.08.2024 წ);

/მომხს. თ.ქოჩიაშვილი/

2. ,, წარმატებული სპორტსმენისა და წარმატებული მწვრთნელის, ოქროსა და ვერცხლის მედალოსანი სკოლის მოსწავლეების, წარმატებული ახალგაზრდის, სახელმწიფო სასწავლო გრანტის მფლობელი სტუდენტის დაჯილდოებისა და ახალგაზრდული ინიციატივის დაფინანსების წესში" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 ნოემბრის №44 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ(თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის N 28-282422836 წერილი, 15.08.2024 წ);

/მომხს. გ.გიორგაძე/

3. ,,უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების დროებითი საცხოვრებელი ბინის, ქირით უზრუნველყოფის 2024 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 10 იანვრის N 29.29240104 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის N 28-282422757 წერილი, 14.08.2024 წ);

/მომხს. შ.ჭანკვეტაძე/

4. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სახლდაზიანებული მოქალაქეების 2024 წლის დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ"თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 10 იანვრის N 29.29240106 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე(თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის N 28-282422757 წერილი, 14.08.2024 წ);

/მომხს. შ.ჭანკვეტაძე/

5. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში დაღუპულთა ოჯახების ერთჯერადი ფინანსური მხარდაჭერის 2024 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ"თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 07 აგვისტოს N 29.29242202 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე(თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის N 28-282422757 წერილი, 14.08.2024 წ);

/მომხს. შ.ჭანკვეტაძე/

6. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების ერთჯერადი ფინანსური მხარდაჭერის 2024 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ"თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 10 იანვრის N 29.292401016

განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე(თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის N 28-282422757 წერილი, 14.08.2024 წ);

/მომხს. შ.ჭანკვეტაძე/

**კენჭისყრის შედეგები:** მომხრე - 26, წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.

**მოისმინეს:** მომხსენებელმა, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ თემურ ქოჩიაშვილმა საკრებულოს წევრებს ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 13 დეკემბრის N 30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ცვლილება გამოიწვია საშემოსავლო ნაწილის გაზრდამ, მთავრობის განკარგულებებმა და ხარჯვითი ნაწილის კორექტირებამ.

ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა გაიზარდა 2028.6 ათასი ლარით და შეადგენს 33788.3 ათას ლარს.

საშემოსავლო ნაწილი გაიზარდა 2028.6 ათასი ლარით. გრანტები გაიზარდა 1473.9 ათასი ლარით.

ხარჯვითი ნაწილი გაიზარდა 2018.6 ათასი ლარით. მ/შოროს:

მერის სარეზერვო ფონდი გაიზარდა 30.0 ათასი ლარით.

გზებისა და ხიდების, მიმდებარე ტერიტორიების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა შენახვის ხარჯი გაიზარდა 1483.9 თასი ლარით.

წყლის სისტემის მშენებლობა , რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია გაიზარდა 17.0 ათასი ლარით.

კომუნალური მეურნეობის განვითარების დაფინანსება გაიზარდა 307.7 ათასი ლარით.

თერჯოლის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახურის დაფინანსება გაიზარდა 120.0 ათასი ლარით.

სოციალური დაცვა გაიზარდა 60.0 ათასი ლარით.

**აზრი გამოთქვეს:** კახა ბუცხრიკიძე - ნაციონალური მოძრაობა მხარს არ უჭერს.

**კენჭისყრის შედეგები:** მომხრე - 17, წინააღმდეგი - 9

**გადაწყვიტეს:** დამტკიცდეს ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 13 დეკემბრის N 30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი( დადგენილება №15, 16.08.2024 წ.).

2.

**მოისმინეს:** მომხსენებელმა, საკრებულოს კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ გრიგოლ გიორგაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო წარმატებული სპორტსმენისა და წარმატებული მწვრთნელის, ოქროსა და ვერცხლის მედალოსანი სკოლის მოსწავლეების, წარმატებული ახალგაზრდის, სახელმწიფო სასწავლო გრანტის მფლობელი სტუდენტის დაჯილდოებისა და ახალგაზრდული ინიციატივის დაფინანსების წესში" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 ნოემბრის №44 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ დადგენილების პროექტი.

დადგენილების დანართის მე-3 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

1. წარმატებული სპორტსმენის ფულადი ჯილდოს ოდენობა განისაზღვროს შემდეგი სახით:
   - საქართველოს ჩემპიონატის I ადგილი - 600 ლარი; II ადგილი - 500; III – 400 ლარი;
   - საერთაშორისო ჩემპიონატი I ადგილი - 1000 ლარი; II ადგილი - 800; III – 500 ლარი;
   - ევროპის ჩემპიონატის I ადგილი - 2 200ლარი; II ადგილი - 1500; III ადგილი - 1000ლარი;
   - მსოფლიო ჩემპიონატის I ადგილი - 5000 ლარი; II ადგილი - 4000; III ადგილი - 3000 ლარი;
   - ოლიმპიური თამაშების I ადგილი - 10 000 ლარი; II ადგილი - 9000; III ადგილი - 8000ლარი.

2. წარმატებული მწვრთნელის ფულადი ჯილდოს ოდენობა განისაზღვროს შემდეგი სახით:
   - საქართველოს ჩემპიონატის I ადგილი - 500ლარი; II ადგილი - 400; III ადგილი - 300 ლარი;
   - საერთაშორისო ჩემპიონატი I ადგილი - 600 ლარი; II ადგილი - 400 ; III ადგილი - 300 ლარი;
   - მსოფლიო ჩემპიონატის I ადგილი - 2000 ლარი; II ადგილი - 1500; III ადგილი - 1000ლარი;
   - ოლიმპიური თამაშების I ადგილი - 3000ლარი; II ადგილი - 2000; III ადგილი - 1500 ლარი.

**აზრი გამოთქვეს:** საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

**კენჭისყრის შედეგები:** მომხრე - 26, წინააღმდეგი - 0

**გადაწყვიტეს:** დამტკიცდეს წარმატებული სპორტსმენისა და წარმატებული მწვრთნელის, ოქროსა და ვერცხლის მედალოსანი სკოლის მოსწავლეების, წარმატებული ახალგაზრდის, სახელმწიფო სასწავლო გრანტის მფლობელი სტუდენტის დაჯილდოებისა და ახალგაზრდული ინიციატივის დაფინანსების წესში" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 ნოემბრის №44 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ დადგენილების პროექტი(დადგენილება №16, 16.08.2024 წ.).

3.

**მოისმინეს:** მომხსენებელმა, საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ შალვა ჭანკვეტაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების დროებითი საცხოვრებელი ბინის, ქირით უზრუნველყოფის 2024 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 10 იანვრის N 29.29240104 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი - პროგრამის ბიუჯეტი იზრდება 5700 ლარით.

**აზრი გამოთქვეს:** საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

**კენჭისყრის შედეგები:** მომხრე - 26, წინააღმდეგი - 0

**გადაწყვიტეს:** დამტკიცდეს ,,უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების დროებითი საცხოვრებელი ბინის, ქირით უზრუნველყოფის 2024 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ'' თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 10 იანვრის N 29.29240104 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი (განკარგულება № გ-29. 29242293, 16.08.2024 წ).

4.

**მოისმინეს:** მომხსენებელმა, საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ შალვა ჭანკვეტაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ,სახლდაზიანებული მოქალაქეების 2024 წლის დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ''თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 10 იანვრის N 29.29240106 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი -პროგრამის ბიუჯეტი იზრდება 24 800 ლარით.

პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი 634 800 ლარი აქედან:

ა) საცხოვრებელი სახლები, რომლებიც საჭიროებს გადაუდებელ შეკეთებას, ასევე დაზიანდა ხანძრის ან სტიქიის შედეგად დახმარების ბუჯეტი განისაზღვროს 94 800 ლარით.

**აზრი გამოთქვეს:** საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

**კენჭისყრის შედეგები:** მომხრე - 26, წინააღმდეგი - 0

**გადაწყვიტეს:** დამტკიცდეს ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სახლდაზიანებული მოქალაქეების 2024 წლის დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ''თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 10 იანვრის N 29.29240106 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე(თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის N 28-282422757 წერილი, 14.08.2024 წ) განკარგულების პროექტი (განკარგულება №გ-29. 29242292,16.08.2024წ.).

5.

**მოისმინეს:** მომხსენებელმა, საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ შალვა ჭანკვეტაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში დაღუპულთა ოჯახების ერთჯერადი ფინანსური მხარდაჭერის 2024 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ''თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 07 აგვისტოს N 29.29242202 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი - პროგრამის ბიუჯეტი იზრდება 9500 ლარით.

**აზრი გამოთქვეს:** საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

**კენჭისყრის შედეგები:** მომხრე - 26, წინააღმდეგი - 0

**გადაწყვიტეს:** დამტკიცდეს ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში დაღუპულთა ოჯახების ერთჯერადი ფინანსური მხარდაჭერის 2024 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ''თერჯოლის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს 2024 წლის 07 აგვისტოს N 29.29242202 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი (განკარგულება №გ-29. 2924229001,16.08.2024წ.).

6.

**მოისმინეს:** მომხსენებელმა, საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ შალვა ჭანკვეტაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების ერთჯერადი ფინანსური მხარდაჭერის 2024 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ''თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 10 იანვრის N 29.292401016 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი - პროგრამის ბიუჯეტი იზრდება 20 000 ლარით.
პროგრამის ბიუჯეტი: 299 500 ლარი.

**აზრი გამოთქვეს:** საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

**კენჭისყრის შედეგები:** მომხრე - 26, წინააღმდეგი - 0

**გადაწყვიტეს:** დამტკიცდეს ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების ერთჯერადი ფინანსური მხარდაჭერის 2024 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ''თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 10 იანვრის N 29.292401016 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი(განკარგულება №გ-29. 29242292,16.08.2024წ.).

*სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ბარათაშვილმა თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 16 აგვისტოს საკრებულოს რიგგარეშე სხდომა დახურულად გამოაცხადა.*

საკრებულოს თავმჯდომარე
გიორგი ბარათაშვილი